KA030669123007516

#10864
16 / სექტემბერი / 2016 წ.

სსიპ - ლ. საყვარელიძის სახელობის დაავადებათა
კონტროლისა და საზოგადოებრივი ჯანმრთელობის
ეროვნული ცენტრის გენერალური დირექტორის
მოადგილეს ბატონ ტარიელ ჭანტურიძეს

მოხსენებითი ბარათი

ბატონო ტარიელ,

მოგახსენებთ, რომ სახელფასო დავალიანების შესახებ სასამართლოში წარმართულ დავაზე, ჩვენს მიერ თბილისის სააპელაციო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის 2016 წლის 19 ივლისის განჩინებაზე საქართველოს უზენაეს სასამართლოში შეტანილ იქნა საკასაციო საჩივარი, რომელზედაც საქართველოს უზენაესმა სასამართლომ 2016 წლის 12 სექტემბრის განჩინებით დაგვიდგინა ხარვეზი, რომლის აღმოფხვრისათვის დაგვავალა 5 (ხუთი) დღის განმავლობაში საქართველოს უზენაეს სასამართლოში სახელმწიფო ბაჟის გადახდის დამადასტურებელი საბუთის წარდგენა. თუ ამ ვადაში ხარვეზი არ შეივსება, საკასაციო საჩივარი არ მიიღება წარმოებაში და განუხილველი დარჩება.
მოხსენებით ბარათზე ელექტრონული სახით მიმაგრებულია საქართველოს უზენაესი სასამართლოს 2016 წლის 12 სექტემბრის განჩინება, რომელშიც აღნიშნულია სახელმწიფო ბაჟის გადახდის ყველა საჭირო მონაცემები.
გთხოვთ, დაავალოთ შესაბამის სამსახურს უზრუნველყონ საკასაციო საჩივრის განსახილველად სახელმწიფო ბაჟის გადახდა.

პატივისცემით.

იურიდიული სამმართველოს უფროსი ლალი ებანოიძე

1141575182450

საქართველოს უზენაესი სასამართლო

ძმ. ზუბალაშვილების 32

სამოქალაქო საქმეთა პალატა
გადაწყვეტილების, განჩინების ასლების

გ ზ ა ვ ნ ი ლ ი

№ 330210014503245 14 სექტემბერი, 2016 წელი
საქმე #ას-782-749-2016
სსიპ „ლ.საყვარელიძის სახელობის დაავადებათა კონტროლისა და საზოგადოებრივი ჯანმრთელობის ეროვნული ცენტრს“
ქ.თბილისი, მ.ასათიანის 9

გეგზავნებათ საქართველოს უზენაესი სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის 2016 წლის 12 სექტემბრის განჩინება.

მარიამ ქაშიაშვილი
მოსამართლის რეფერენტი

გთხოვთ, გაითვალისწინოთ!

სასამართლოში საქმის განხილვა მიმდინარეობს თანასწორობისა და შეჯიბრებითობის პრინციპის საფუძველზე – თქვენ გეკისრებათ როგორც ფაქტების მითითების, ასევე მათი დამტკიცების ტვირთი. საქმის საბოლოო შედეგი დამოკიდებულია იმაზე, თუ როგორ დაასაბუთებთ თქვენს პოზიციას და რომელი მტკიცებულებით დაადასტურებთ მათ, ანუ წარმატებას განაპირობებს მხოლოდ თქვენი პროფესიონალიზმი და თქვენს მიერ წარმოდგენილი მტკიცებულებები.

სსიპ ლ. საყვარელიძის
სახელობის დაავადებათა
კონტროლისა და საზოგადოებრივი
ჯანმრთელობის ეროვნული
ცენტრი
№ 01/35-10829

1141419893375

საქართველოს უზენაესი სასამართლო
გ ა ნ ჩ ი ნ ებ ა
საქართველოს სახელით

#330210014503245
საქმე №ას-782-749-2016

12 სექტემბერი, 2016 წელი
ქ.თბილისი

სამოქალაქო საქმეთა პალატის
მოსამართლე
ბესარიონ ალავიძე

საქართველოს უზენაესი სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის მოსამართლემ ერთპიროვნულად, ზეპირი მოსმენის გარეშე განვიხილე სსიპ ლ.საყვარელიძის სახელობის დაავადებათა კონტროლისა და საზოგადოებრივი ჯანმრთელობის ეროვნული ცენტრის საკასაციო საჩივრის წარმოებაში მიღების საკითხი თბილისის სააპელაციო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის 2016 წლის 19 ივლისის განჩინებაზე, საქმეზე – შოთა ცანავას, ნანა პაპაჩაშვილის, ნიკოლოზ ცერცვაძის, მერაბ სიხარულიძისა და სხვათა სარჩელის გამო, სსიპ ლ.საყვარელიძის სახელობის დაავადებათა კონტროლისა და საზოგადოებრივი ჯანმრთელობის ეროვნული ცენტრის მიმართ, სახელფასო დავალიანების ანაზღაურების თაობაზე და პალატამ

გ ა მ ო ა რ კ ვ ი ა:

საკასაციო პალატა მიიჩნევს, რომ წარმოდგენილი საკასაციო საჩივარს უნდა დაუდგინდეს ხარვეზი შემდეგი გარემოებების გამო:

სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 396-ე მუხლის მე-3 ნაწილის თანახმად, თუ საკასაციო საჩივარი არ უპასუხებს აქ ჩამოთვლილ მოთხოვნებს ან სახელმწიფო ბაჟი არ არის გადახდილი, სასამართლო აკლებს საჩივრის შემტან პირს, შეავსოს ხარვეზი, რისთვისაც უნიშნავს მას ვადას. თუ ამ ვადაში ხარვეზი არ იქნება შევსებული ან საკასაციო საჩივარი არ არის შეტანილი კანონით დადგენილ ვადაში, საკასაციო საჩივარი განუხილველი დარჩება. ამავე კოდექსის 39-ე მუხლის პირველი ნაწილის „გ" ქვეპუნქტის მიხედვით, სახელმწიფო ბაჟის ოდენობა საკასაციო საჩივრისათვის შეადგენს დავის საგნის ღირებულების 5 პროცენტს, მაგრამ არანაკლებ 300 ლარს, ხოლო ამავე კოდექსის 41-ე მუხლის პირველი ნაწილის „ა" ქვეპუნქტის შესაბამისად, დავის საგნის ფასი ფულის გადახდევინების შესახებ სარჩელზე განისაზღვრება გადასახდელი თანხით. განსახილველ შემთხვევაში, სახეზეა რამოდენიმე პირის მიერ აღძრულია ერთიანი სარჩელი საერთო საფუძვლით, შესაბამისად, თითოეული თანამონაწილის მიმართ დავის საგნის ღირებულების გამოთვლა და სახელმწიფო ბაჟის გადახდა უნდა განხორციელდეს დამოუკიდებლად, იმგვარად, რომ ამ ვალდებულების ერთ-ერთი თანამონაწილის მიერ ჯეროვნად შესრულება გავლენას სხვა თანამონაწილის მიმართ ვერ იქონიებს, რადგანაც ასეთ შემთხვევაში სახეზეა სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 182-ე მუხლის მე-3 ნაწილით გათვალისწინებული სარჩელის სუბიექტური გაერთიანება, რა დროსაც სასამართლოს რამდენიმე მოსარჩელის მიერ ან რამდენიმე მოპასუხის მიმართ წარდგენილი მოთხოვნების მიღებისას, შეუძლია ცალკე წარმოებად გამოყოს ერთი ან რამდენიმე მოთხოვნა, თუ ცნობს, რომ მოთხოვნათა განცალკევებული განხილვა უფრო მიზანშეწონილია. საკასაციო პალატის აღნიშნული მოსაზრება შეესაბამება საქართველოს უზენაესი სასამართლოს მიერ დადგენილ მყარ ერთგვაროვან პრაქტიკას (იხ.სუსგ №ას-1378-1215-2010, 2011 წლის 14 მარტი), სადაც ერთმანეთისაგან გაიმიჯნა სასარჩელო მოთხოვნის სუბიექტური და ობიექტური გაერთიანება.

ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, დავის საგნის ღირებულება შოთა ცანავას მიმართ 2800 ლარით, ნიკოლოზ ცერცვაძის მიმართ 2450 ლარით, ხოლო მერაბ სიხარულიძის მიმართ 1509.2 ლარით უნდა განისაზღვროს. რაც შეეხება სახელმწიფო ბაჟის საკითხს, პალატა მიიჩნევს რომ, სსიპ ლ.საყვარელიძის სახელობის დაავადებათა კონტროლისა და საზოგადოებრივი ჯანმრთელობის ეროვნული ცენტრს შოთა ცანავასა და ნიკოლოზ ცერცვაძის მიმართ მოთხოვნებზე უნდა დაეკისროს 300-300 ლარის, ხოლო მერაბ სიხარულიძის მიმართ მოთხოვნაზე 150 ლარის (სსსკ-ის 39.2 მუხლი) გადახდა.

საკასაციო პალატა ყურადღებას გაამახვილებს იმ გარემოებაზე რომ, საკასაციო საჩივრის ავტორი უთითებს სახელმწიფო ბაჟის გადახდისაგან გათავისუფლების საფუძველზე „სახელმწიფო ბაჟის შესახებ" საქართველოს კანონის მე-5 მუხლის პირველი პუნქტის „უ" ქვეპუნქტის შესაბამისად და აღნიშნულთან დაკავშირებით განმარტავს რომ, მითითებული ნორმის თანახმად, სახელმწიფო ბაჟის გადახდისაგან თავისუფლდებიან დაწესებულებები (ორგანიზაციები), რომელთა ხარჯები ფინანსდება მხოლოდ სახელმწიფო ბიუჯეტიდან. აღნიშნული გარემოების დამადასტურებელი მტკიცებულება კი კასატორს არ წარმოუდგენია.

ს ა რ ე ზ ო ლ უ ც ი ო ნ ა წ ი ლ ი:

საკასაციო სასამართლომ იხელმძღვანელა სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 39-ე, მე-40, 41-ე მუხლებით, 396-ე მუხლის მე-3 ნაწილით და

დ ა ა დ გ ი ნ ა:

1. სსიპ ლ.საყვარელიძის სახელობის დაავადებათა კონტროლისა და საზოგადოებრივი ჯანმრთელობის ეროვნული ცენტრს დაეკალოს მოცემული განჩინების ასლის ჩაბარებიდან 5 (ხუთი) დღის ვადაში საქართველოს უზენაეს სასამართლოში წარმოადგინოს სახელმწიფო ბაჟის _ მოთა ცანავას მიმართ მოთხოვნაზე - 300 ლარის, ნიკოლოზ ცერცვაძის მიმართ მოთხოვნაზე - 300 ლარისა და მერაბ სიხარულიძის მიმართ მოთხოვნაზე - 150 ლარის ჩარიცხვის ქვითრის დედანი (ნაღდი ფულით ანგარიშსწორების შემთხვევაში წარმოდგენილი უნდა იქნეს საგადახდო დავალება და სალაროს შემოსავლის ორდერი, ხოლო უნაღდო ანგარიშსწორების შემთხვევაში – საგადახდო საბუთი, რომელზედაც დასმულია მომსახურე ბანკის შტამპი - „განაღდებულია").
2. სახელმწიფო ბაჟი გადახდილ იქნეს შემდეგ ანგარიშზე: ქ. თბილისი, „სახელმწიფო ხაზინა" ბანკის კოდი TRESGE22, მიმღების ანგარიშის №200122900, სახაზინო კოდი 3 0077 3150.
3. თუ ამ ვადაში ხარვეზი არ შეივსება, საკასაციო საჩივარი არ მიიღება წარმოებაში და განუხილველად დარჩება.
4. საკასაციო სასამართლოს განჩინება საბოლოოა და არ გასაჩივრდება.

მოსამართლე: ბ.ალავიძე